

# სად აპირებენ კომაროველები სწავლის გაგრძელებას?

*კვლევაზე მუშაობდნენ:*


*გიორგი ჩოკოშვილი*

*ნუცა თოთოსაშვილი*

*კესო პეტრიაშვილი*


**21.05.2022**

კომაროვის სკოლაში Research Club-მა ჩაატარა კვლევა თემაზე: “სად აპირებენ კომაროველები სწავლის გაგრძელებას”. კვლევა მიზნად ისახავდა დაედგინა კომაროვის მოსწავლეებისთვის სასურველი უნივერსიტეტები და ქვეყნები. გვსურდა გაგვეჩვენა მათი სამომავლო პროფესიები, მიზეზები თუ რატომ აირჩიეს ესა თუ ის ფაკულტეტი და აქვთ თუ არა გამოცდილება მოცემულ სფეროებში.




კვლევის შედეგად მივიღეთ საინტერესო პასუხები და მოგვეცა შესაძლებლობა გვეჩვენებინა სტატისტიკა სკოლის მოსწავლეების ინტერესებსა და სამომავლო გეგმებზე. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ყველა გამოკითხული მოსწავლე აპირებს უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელებას. აღსანიშნავია, რომ კომაროვის მოსწავლეების უმეტესობა სწავლის გაგრძელებას ამერიკაში, საქართველოსა და გერმანიაში გეგმავენ.

## უნივერსიტეტები




მოსწავლეების 56%-ს არ აქვს გადაწყვეტილი რომელ უნივერსიტეტებში გააგრძელებენ სწავლას. რაც შეეხება გამოკითხულთა შორის ყველაზე მოთხოვნად ინსტიტუტებს, მათ შორის საქართველოდან ლიდერობენ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი და თავისუფალი უნივერსიტეტი, ხოლო ამერიკის უნივერსიტეტებიდან ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობს MIT.

## ფაკულტეტები



გამოკითხულთა 45% მომავალ პროფესიად კომპიუტერულ მეცნიერებებს ირჩევს. გარდა ამისა, კომაროვის მოსწავლეებში მოთხოვნადი პროფესიები მოიცავს ინჟინერიას, მათემატიკას, სამართალსა და სამედიცინო სფეროს. გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ კომაროვის მოსწავლეებს არ სურთ მხოლოდ მათემატიკის სწავლა და მათი ინტერესები ბევრად უფრო ფართომასშტაბიანია.

## რატომ ირჩიეთ ეს ფაკულტეტი?



სასიხარულოა ის ფაქტი, რომ კომაროველების უმრავლესობას არჩეული ფაკულტეტი საინტერესოდ მიაჩნია. გამოკითხულთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ამ სფეროში საქმიანობა ეხერხებათ, თუმცა, ასევე ვხვდებით ისეთ პასუხებს, რომლებშიც ამ ფაკულტეტების არჩევის მთავარი მოტივი მოცემული პროფესიების შემოსავლიანობაა.

გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ მოსწავლეების 56%-ს არჩეულ კარიერებში გამოცდილება აქვს. მათი უმრავლესობა დადის პროგრამირების კურსებზე, რაც კომპიუტერული მეცნიერებების მოთხოვნადობის დასტურია. მნიშვნელოვანია, რომ კომაროველების ნაწილს გამოცდილება აქვს მათთვის საინტერესო საგნების ოლიმპიადებზე მონაწილეობის. მოსწავლეების ნაწილი გაწევრიანებულია სკოლის წრეებსა და კლუბებში და აქტიურად ერთვებიან სკოლის გარეთ დამატებით აქტივობებში.

კვლევის ანალიზის შედეგად მიღებული მონაცემები, ნათლად ასახავს ჩვენი სკოლის მოსწავლეების მთავარ ინტერესებს, მათთვის სასურველ სასწავლო დანიშნულების წერტილებს, მათ სამომავლო გეგმებსა და უკვე არსებულ გამოცდილებებს.

მოცემულ შედეგებზე დაყრდნობით, სასურველად მიგვაჩნია, რომ სკოლამ უზრუნველყოს მოსწავლეებისა და უნივერსიტეტების შეხვედრები, რათა ახალგაზრდებმა უკეთ გაიგონ მათი პერსპექტივების შესახებ თითოეულ უნივერსიტეტში და შედეგად საშუალება მიეცეთ, რომ სწორად გააკეთონ მათთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი არჩევანი. მიგვაჩნია, რომ სტატისტიკის შედეგები და ზემოაღნიშნული რიცხვები საკმარისად მაღალია იმისთვის, რომ აღნიშნულ საკითხს უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს.